

ცარიელი სივრცეები ელექტრონული ვაჭრობის ქართულ სამართალში

მეგი სიგუა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაპუნა პაპიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

განაცხადი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და ის არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მეგი სიგუა

2015 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი შეეხება ელექტრონულ ვაჭრობის რეგულირებას ქართულიკანონმდებლობით. ზოგადად თუ რა როლი უჭირავს ელექტრონულ ვაჭრობას დღევანდელ რეალობაში და რატომ არის აუცილებელი მისი მომწესრიგებელი ნორმების დანერგვა და დარეგულირება.

არსებული თემა შედგება სამი ძირითადი თავისგან და ქვეთავებისაგან, რომელშიც განხილული იქნება ცარიელისივრცეები ელექტრონული ვაჭრობის რეგულირების სფეროში, რაც პოტენციურ პარტნიორებს შორის ნდობის არარსებობის, წინასწარმეტყველებადობის ნაკლებობის და ეკონომიკური აქტივობის სიმცირის მიზეზია. ონლაინ სივრცეში წარმოშობილი სხვადასხვა სამოქალაქო ურთიერთობები წარმოდგენილი იქნება ქართული, ევროპული და ამერიკული სამართლის სისტემებში არსებული რეგულატორული ბაზრების ჭრილში.ნაშრომი ფართო პერსპექტივით განაზოგადებს ზოგადად ელექტრონული ვაჭრობის არსს. განსჯის საგანი იქნება მასთან დაკავშირებული პრობლემები, ასევე გამოწვევები რომლის წინაშეც დგანან სამართლის სისტემები. რამდენად უმკლავდებიან მას და რა შესაძლებლობები არსებობს სამომავლოდ.ასევე ჩვენი ყურადღების ობიექტი იქნება მომხმარებელთა უფლებების დაცვა.

ნაშრომის მთავარი მიზანია გამოკვეთოს ელექტრონული ვაჭრობის სფეროში არსებული პრობლემები. პარალელი გაავლოს მსოფლიო სტანდარტებთან და განიხილოს ელექტრონული ვაჭრობის სფეროს შემდგომი დაგვარად სრულფასოვანი რეგულირებისთვის საჭირო მარეგულირებელი ნორმები, რაც მიაახლოვებს ქართული სამართლის სისტემას ამ მხრივ მოწინავე სახელმწიფოების შესაბამის მარეგულირებელ ინსტრუმენტებთან, სფეროს საბოლოო ჯამში წინასწარმეტყველებადს გახდის, გააჩენს ნდობას მომხმარებელსა და სერვისის მიმწოდებელს შორისდაეკონომიკური ზრდის წინაპირობა გახდება.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული ვაჭრობა; ელ.კომერცია.

Abstract

The following thesis scrutinizes regulations regarding the online commerce as prescribed by respective Georgian Legislation. In general, it investigates the role of online commerce in today's reality and the level of necessity to introduce and regulate its regulating norms.

The thesis consists of three main chapters and subchapters, which focus on empty spaces in the regulating bases of online commerce, which serves as a reason for the lack of trust between potential partners, deficiency of predictability and economical activity. Various civil relations originated in online space will be presented in the light of regulative basis existing in Georgian legislation and its, European and American counterparts. The thesis generalizes the essence of online commerce in a broad perspective. The subject of discussion will be the problems associated with it, as well as challenges, which are faced by the most advanced legal systems in the sphere. How they are dealing with them and what kind of opportunities are there for future. The special attention will be dedicated to the protection of customer's right.

The main purpose of this thesis is to highlight the problems existing in the field of online commerce. To draw parallels with international standards and to review the regulating norms necessary for full-fledged regulation of this very particular activity in virtual reality, which would put respective Georgian Legal System closer to regulatory tools of advanced countries in this regard. This in turn makes the field predictable, generates the trust between customers and service suppliers, which accordingly will become the prerequisite for economical growth.

Key Words: Electronic Commerce; e-commerce.